

სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს

გიორგი პატარიძეს

სპეციალური პენიტენციური სამსახურის N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა
სამკურნალო დაწესებულების დირექტორს

დავით დარასელიას

**ზოგადი წინადადება განსხვავებული მოსაზრების ნიშნით ასოციაციით დისკრიმინაციის
საკითხზე**

*შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14¹
მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის
შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.*

ბატონო გიორგი,

ბატონო დავით,

2020 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქმის შესწავლა თ. მ.-ს მიმართ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან, დისკრიმინაციული მოპყრობის შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით.

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. თ. მ.

საქმის შესწავლის დაწყებას საფუძვლად დაედო თ. მ.-ის შვილის, ა. კ.-ის მიერ 2020 წლის 8 ოქტომბერს სოციალურ ქსელ ფეისბუქში გამოქვეყნებული პოსტი, რომელიც არის გიორგი შაქარაშვილის მკვლელობაში ბრალდებული ერთ-ერთი პირის ადვოკატი, ამასთან, კენჭს იყრიდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში რუსთავის მაჟორიტარობის კანდიდატად პარტია „პროგრესული საქართველოდან“. ა. კ. პოსტში მიუთითებდა: „*დღეს დედაჩემს დაურეკა N18 ციხის დირექტორმა და განუცხადა, რომ განცხადება უნდა დაწეროს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. მერე იტყვით არა რას ლაპარაკობთ, ჩვენ პოლიტიკური ნიშნით არ ვდევნითო. კიდევ ერთხელ დაწერ: თქვენი დროც მოვა!!*“
დედაჩემი ძალიან განიცდის, რომ ჩემს გამო დევნიან“. ა. კ.-მ დედის, თ. მ.-ის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის N18 დაწესებულებიდან გათავისუფლების ფაქტზე კომენტარი

გააკეთა ტელეკომპანია „მთავარი არხის“ სიუჟეტშიც, სადაც აღნიშნა¹: „ამ ბოლო პერიოდში უფრო სისტემატიურად ვამხილე თეა წულუკიანი და მისი ჯალათები. ამან გამოიწვია ის, რომ დედაჩემი პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს, რა თქმა უნდა, ეს ყოველივე არის პასუხი ჩემ პოლიტიკური საქმიანობაზე. ასე მოქმედებს ნებისმიერი დიქტატორული სახელმწიფო.“

მოგვიანებით, ა. კ.-ის განცხადებებს, ფეისბუქით, გამოეხმაურა სპეციალური პენიტენციური სამსახური, რომელმაც აღნიშნა, რომ ა. კ.-ის დედას მხოლოდ იმ სამუშაოს შესრულება შესთავაზეს, რასაც მისი პოზიცია ითვალისწინებდა, აღნიშნულზე კი მან თავად განაცხადა უარი.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის განცხადების თანახმად², თ. მ.-ს 2017 წლის 10 ივლისიდან ეკავა N18 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციული განყოფილების დამხმარე მოსამსახურის თანამდებობა. მის ფუნქციებში შედიოდა ელექტროგაყვანილობის, ელექტრომოწყობილობების, სავენტილაციო ძრავების, ასევე საკნებში/პალატებში ელექტრომოწყობილობების, გარე განათების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და ხარვეზის აღმოფხვრა, ასევე, შედუღება, ინვენტარის შეკეთება, საკანალიზაციო სისტემის გამართული მუშაობა და ა.შ. თუმცა, ფაქტობრივად, იგი ასრულებდა კანცელარიის თანამშრომლის ფუნქციებს და არა იმ მოვალეობებს, რასაც მის მიერ დაკავებული პოზიცია ითვალისწინებდა და რა სამუშაოს შესრულებაზეც დანიშვნის დროს ხელი მოაწერა. 2020 წლის 7 აპრილიდან კოვიდ-19-ის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, პენიტენციურმა სამსახურმა გაატარა გარკვეული ღონისძიებები. იმ მიზეზით, რომ თ. მ.-ს არ ჰქონდა კომპიუტერის საოფისე პროგრამებთან მუშაობის უნარები (მუშაობდა მხოლოდ მატერიალური სახით დოკუმენტებთან) და ვერ შეასრულებდა სამუშაოს დისტანციურად, იგი 2020 წლის მარტის ბოლოდან სამსახურში აღარ გამოცხადებულა. ხოლო, ვინაიდან მოცემულ მომენტში N18 პენიტენციურ დაწესებულებაში დადგა ადმინისტრაციული განყოფილების დამხმარე მოსამსახურის საჭიროება, თ. მ.-ს შეეთავაზა მისი პოზიციით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება, რაზეც მან განაცხადა უარი იმ მოტივით, რომ ამ საქმის შესრულება არ შეეძლო.

საქმის გარემოებების სრულყოფილად შესწავლის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა როგორც პენიტენციური სამსახურიდან, ასევე N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან, გამოითხოვა შემდეგი ინფორმაცია:

- დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხა;
- თ. მ.-ის დანიშვნისა და გათავისუფლების ბრძანებები;
- ფაქტობრივად რა საქმიანობას ასრულებდა თ. მ., როდიდან და რამ განაპირობა მისი ფაქტობრივად სხვა სამუშაოს შესრულების საჭიროება;

¹ ხელმისაწვდომია: <https://mtavari.tv/news/18468-chemi-politikuri-sakmianobis-gamo-dedachemi>

² სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 08 ოქტომბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/moc.gov.ge/photos/a.381689191907118/3381452151930792/>

- სულ რამდენი ადამიანი იყო დასაქმებული 2017 წლის 10 ივლისიდან ადმინისტრაციული განყოფილების დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე და ფაქტობრივად რა ფუნქციებსა და მოვალეობებს ასრულებდნენ ისინი;
- სულ რამდენი ადამიანი ასრულებდა ფაქტობრივად კანცელარიის თანამშრომლის ფუნქციას, სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ფუნქცია მოვალეობების ნაცვლად;
- 2020 წლის 8 ოქტომბრიდან რატომ დადგა ადმინისტრაციული განყოფილების დამხმარე მოსამსახურის პოზიციაზე კადრის გადაყვანის საჭიროება და თ.მ.-ს გარდა სხვა თანამშრომელს შეეთავაზა თუ არა აღნიშნულ პოზიციაზე გადაყვანა.

წერილის პასუხად, სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან სახალხო დამცველს ეცნობა³, რომ, თ. მ., დანიშვნის დღიდან (10.07.2017წ.), ასრულებდა მხოლოდ საქმისმწარმოებლის ფუნქცია-მოვალეობას, კერძოდ, გასაგზავნ წერილებს ათავსებდა საფოსტო კონვერტში და ამზადებდა გასაგზავნი წერილების რეესტრს. აღნიშნული ფუნქციის შესრულება განპირობებული იყო იმით, რომ მას არ შეეძლო, მის მიერ დაკავებული პოზიციის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობის შესრულება. ადმინისტრაციული განყოფილების დამხმარე მოსამსახურედ 2017 წლის 10 ივლისიდან დანიშნული იყო 3 მოსამსახურე, ყველა მოსამსახურე ასრულებდა დამხმარე მოსამსახურის ფუნქცია-მოვალეობას, მხოლოდ თ. მ. ასრულებდა საქმისმწარმოებლის ფუნქცია-მოვალეობას, დაკავებული პოზიციის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების ნაცვლად. თ. მ.-ის მისი პოზიციით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შეთავაზების საჭიროებასთან დაკავშირებით სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა განმარტა, რომ N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებას სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება ადმინისტრაციული განყოფილების 2 დამხმარე მოსამსახურე (სანტექნიკოსი და ელექტრიკოსი). აღნიშნულ პოზიციაზე თ. მ.-სთან ერთად დანიშნული იყო მეორე დამხმარე მოსამსახურე, რომელსაც სანტექნიკოსთან ერთად შეთავსებული ჰქონდა ელექტრიკოსის ფუნქცია-მოვალეობები. 2020 წლის 2 ივლისს ზემოხსენებული დამხმარე მოსამსახურე პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა სამსახურიდან. სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა დამხმარე მოსამსახურის ვაკანტურ საშტატო ერთეულზე ისეთი თანამშრომლის დანიშვნა, რომელიც შეძლებდა დამხმარე მოსამსახურის (ელექტრიკოსის) ფუნქციამოვალეობების შესრულებას. რამდენადაც თ. მ. დასაქმებული იყო დამხმარე მოსამსახურედ და მის ფუნქციებში შედიოდა ელექტროსაკითხებზე მუშაობა, სწორედ მას შესთავაზეს აღნიშნულის განხორციელება. 2020 წლის 13 ოქტომბერს ადმინისტრაციული განყოფილების დამხმარე მოსამსახურის (ელექტრიკოსის) პოზიციაზე, მოვალეობის შემსრულებლად 6 თვის ვადით დანიშნულ იქნა სამოქალაქო პირი.

³ 2020 წლის 04 ნოემბრის კორესპონდენცია №265455/01

სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა სახალხო დამცველს ასევე წარმოუდგინა N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა სამტატო ნუსხა და სამუშაო აღწერილობები.

1.2. ა. კ.

საქმისწარმოების ფარგლებში სახალხო დამცველმა შეისწავლა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან 2020 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ა. კ.-ის საქმიანობასთან დაკავშირებით საჯაროდ გაკეთებული განცხადებები.

2020 წლის 17 სექტემბერს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის განცხადება - „სპეციალური პენიტენციური სამსახური ეხმაურება ადვოკატ ა. კ.-ის მიერ გავრცელებულ ყალბ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თითქოს N8 პენიტენციურ (გლდანის) დაწესებულებაში 30-მდე პატიმარი ამნისტიის მოთხოვნით პარლამენტთან გამართულ აქციას უერთდება და ამ მოთხოვნით მიმშვილობს. სპეციალური პენიტენციური სამსახური აცხადებს, რომ ეს არის სიცრუე და აქციის ორგანიზატორთა მხრიდან სავარაუდოდ, აქციაზე მეტი ადამიანის მოსაზიდად გამოზნული ქმედება“.

2020 წლის 25 სექტემბერს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა ა. კ.-სთან დაკავშირებით მორიგი განცხადება გამოაქვეყნა - „ბოლო დღეებში მიზანმიმართული კამპანიის ხასიათი მიიღო N8 პენიტენციური დაწესებულების მისამართით უსაფუძვლო და სრულიად აბსურდულმა ბრალდებებმა. არაერთი ცილისმწამებლური განცხადება გაკეთდა პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მისამართით, ამჯერად 24 სექტემბერს ტელეკომპანია „ფორმულამ“ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს N8 პენიტენციური დაწესებულების ოთხმა პატიმარმა თვითდაზიანებები იმიტომ მიიყენა, რომ მათ დაწესებულების დირექტორი სექსუალური ძალადობით დაემუქრა. ტელეკომპანია „ფორმულას“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში გამოყენებული იყო მსჯავრდებულ შ.ჭ.-ს მეუღლისა და ადვოკატ ა. კ.-ის ინტერვიუები. ადვოკატ ა. კ.-ს განცხადებით: "ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ბატონი ქინქლაძე (დაწესებულების დირექტორი) ეჩხუბა პატიმრებს იმის გამო, რატომ არ მოსწონდათ ჩაი და ამის გამო უთხრა, რომ მას გააუპატიურებდა. რაზეც ადეკვატური პასუხი ჰქონდათ პატიმრებს". სპეციალური პენიტენციური სამსახური აცხადებს, რომ ეს არის N8 პენიტენციური დაწესებულების დისკრედიტაციის მცდელობა. ამ მხრივ მიზანმიმართული აქტიურობით გამოირჩევა ადვოკატი ა. კ., რომელიც არის ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერი, აქვს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის

⁴ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 17 სექტემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/moc.gov.ge/photos/a.658643024211732/3317602991649042/>

გაცხადებული გეგმა და ამ მიზნით არ ერიდება არც ტყუილს, და არც პატიმრებისა და საპატიმროების თემით მანიპულირებას⁵.

მოგვიანებით, იმავე დღეს, 2020 წლის 25 სექტემბერს, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა ა. კ.-სთან მიმართებით კიდევ ერთი განცხადება გააკეთა, რომლითაც აღინიშნა, რომ ა. კ.-მ მოუცლელობის მოტივით უარი განაცხადა მის მიერ გამოთქმული ბრალდებების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულების მიწოდებაზე და ნაცვლად თანამშრომლობისა „იმ დროს, როდესაც ვერ მოიცალა მონიტორინგის დეპარტამენტში გამოცხადებისთვის, აქცია გამართა N8 პენიტენციურ დაწესებულებასთან. აღსანიშნავია, რომ ადვოკატის ორგანიზებულ აქციაზე მხოლოდ თავად ა. კ. და კიდევ ორი ადამიანი იმყოფებოდა, თუმცა ამან არ შეუშალა ადვოკატს ხელი, რომ პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მისამართით კვლავ გაეკეთებინა ცილისმწამებლური განცხადებები“⁶.

2020 წლის 28 სექტემბერს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა განაცხადა, რომ საჩივრით მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას, რათა შეისწავლოს და შესაბამისი რეაგირება განახორციელოს ადვოკატ ა. კ.-ის ქმედებებთან დაკავშირებით. განცხადებაში აღინიშნა, რომ ადვოკატი ა. კ. პოლიტიკური ხასიათის წინასაარჩევნო ინსცენირებებშია ჩართული. „საეჭვოდ და პრობლემატურად გამოიყურება ამ ქმედებებში ა. კ.-ის დიდი მონდომება პენიტენციური დაწესებულების დისკრედიტაციისთვის. ა. კ. არის პოლიტიკური პარტიის ლიდერი და აქვს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის გაცხადებული გეგმა. როგორც ჩანს, ამ მიზნით ა. კ. არ ერიდება არც ტყუილს და არც პატიმრებისა და საპატიმროების თემით არაკეთილსინდისიერ მანიპულირებას“⁷.

ასევე, 2020 წლის 30 სექტემბერს ადვოკატმა ა. კ.-მ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის პოსტი - „საკარანტინო რეჟიმში ამუშავებთ (პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლებს) და დაფასება ნოლი!!! ხელფასები მაინც მოუმატეთ“. აღნიშნულ პოსტს 2020 წლის 01 ოქტომბრის განცხადებით გამოეხმაურა სპეციალური პენიტენციური სამსახური. სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა ადვოკატის შეფასებას არაკომპეტენტური უწოდა და აღნიშნა, რომ პოსტის შინაარსი „არის სიცრუე და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მორიგი მცდელობა, რასაც ადვოკატი ა. კ. კვლავ საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებს“⁸.

⁵ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 25 სექტემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/moc.gov.ge/photos/a.658643024211732/3340979362644738/>

⁶ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 25 სექტემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/moc.gov.ge/photos/a.658643024211732/3341845419224799/>

⁷ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 28 სექტემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/moc.gov.ge/photos/a.658643024211732/3350061365069871/>

⁸ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 01 ოქტომბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/moc.gov.ge/photos/a.381689191907118/3359742090768465/>

2. სამართლებრივი შეფასება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის⁹.

თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპებია, განმტკიცებული ყველა მნიშვნელოვან ინსტრუმენტში. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფს როგორც კონსტიტუციით, ასევე საქართველოს სხვა კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებით თანასწორ სარგებლობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს ისე მის მიზანს¹⁰. აღნიშნული მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით, ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად.

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის № 1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, 2010 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე N1/1/493, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II, 1).

არსებითად თანასწორი სუბიექტები.¹¹ აშკარა უნდა იყოს არსებითად თანასწორი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა (ან არსებითად არათანასწორი პირების მიმართ თანასწორი მოპყრობა) *ამ თუ იმ ნიშნის* საფუძველზე, უფლებებით დაცული სფეროების მიხედვით.¹²

მსგავსად, ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება, ე. ი. არ ისახავს კანონიერ მიზანს და არ არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის¹³.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა ნებისმიერი დაცული ნიშნის მიუხედავად.

ამავე კანონის მე-2 მუხლის, მე-2 პუნქტის საფუძველზე, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II.19

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II.2

¹³ Eweida and others v. United Kingdom, App. Nos. 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, § 87-88 (15/01/2013, ECtHR); Burden v. United Kingdom, App. No. 13378/05, § 60 (29/04/2008, ECtHR).

არათანაზომიერია.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამ მუხლით განსაზღვრულ პირობებში **დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი**, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა. აღნიშნული ნორმა თავის თავში მოიცავს, მათ შორის, ასოციაციით დისკრიმინაციას, რომელიც სახეზეა, როდესაც ადამიანს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებენ, ვინაიდან მასთან დაკავშირებულ პირს აქვს დისკრიმინაციისგან დაცული რომელიმე საფუძველი¹⁴. განსახილველ შემთხვევაში, რომელიმე დაცული ნიშანი აქვს არა განმცხადებელს, არამედ ის დაკავშირებულია ამგვარი ნიშნის მქონე სხვა პირთან.

2.1. უფლება, რომლით სარგებლობაშიც შესაძლოა პირს ხელი შეეშალოს

საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული შრომის თავისუფლება სოციალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანასწორობის პრინციპი მოითხოვს თანაბარ მოპყრობას ადამიანის უფლებებითა და კანონიერი ინტერესებით დაცულ ყველა სფეროში¹⁵. აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ კონსტიტუციით გარანტირებული თანასწორობის უფლება ვრცელდება შრომით სამართლებრივ ურთიერთობებზეც. საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საფუძველზე, კონსტიტუციით დაცულია არა მხოლოდ უფლება, აირჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო, დაცული იყო უმუშევრობისაგან და ისეთი რეგულირებისგან, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ან იძლევა სამსახურიდან უსაფუძველო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლების საშუალებას¹⁶.

შრომის უფლება, როგორც მნიშვნელოვანი სოციალური დაცვის გარანტია, აგრეთვე, აღიარებულია მრავალი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფარგლებში, შრომის უფლება მე-8 მუხლით (პირადი ცხოვრების უფლება) დაცულ სფეროს მიეკუთვნება. სწორედ მე-8 მუხლთან კავშირში განიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დასაქმების ადგილებზე

¹⁴ საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 25 აპრილის რეკომენდაცია „გარეგნობის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ასოციაციით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ“, 7, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019040913500681023.pdf>

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბერის გადაწყვეტილება საქმე N1/1/493, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე N2/2-389, II. 3.19

დისკრიმინაციის აკრძალვის (მე-14 მუხლი) სავარაუდო დარღვევის საქმეებს¹⁷. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესაბამისად, სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის შესაძლებლობას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება¹⁸. დასახელებული მოწესრიგების ფარგლებში, სახელმწიფოები ვალდებული არიან, მიიღონ შესაბამისი ზომები შრომითი უფლებების დარღვევისგან დასაქმებულთა დასაცავად¹⁹. გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის განმარტებით, პაქტით დაცული შრომა უნდა იყოს ღირსეული შრომა, რაც მოიცავს სამუშაოს შესრულების პროცესში დასაქმებულის ფიზიკური და მენტალური მთლიანობისა და მისი ფუნდამენტური უფლებების პატივისცემას²⁰. ამასთან, აკრძალულია ნებისმიერი დისკრიმინაცია დასაქმების მისაწვდომობასა და შენარჩუნებაში, რაც მიზნად ისახავს ან იწვევს შრომის უფლებით თანასწორობის საწყისებზე სარგებლობაში ხელშეშლას²¹.

თ. მ. 2017 წლის 10 ივლისიდან დასაქმებული იყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციული განყოფილების დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე²².

¹⁷იხ. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: I.B. v. GREECE

¹⁸ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 6, ნაწილი 1

¹⁹გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (CESCR), ზოგადი კომენტარი №18: შრომის უფლება (პაქტის მე-6 მუხლი), 6 თებერვალი 2006, E/C.12/GC/18, პარ. 35

²⁰გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N18 (2005), შრომის უფლება (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლი), E/C.12/GC/186, პარ. 7-8

²¹ იქვე, პარ. 12

²² საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის 2017 წლის 10 ივლისის დანიშნვის ბრძანება N MOC 61700001680; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2019 წლის 18 თებერვლის ბრძანება N515. დამხმარე მოსამსახურის შტატით გათვალისწინებული სამუშაოს ფუნქცია- მოვალეობებს წარმოადგენდა: დაწესებულების ელექტრო გაყვანილობის, განათების სისტემების, ელექტრო მოწყობილობების გამართული მუშაობისა და დაზიანებების აღმოფხვრის უზრუნველყოფა; დაწესებულების გარე განათების, ელექტრო-მოწყობილობების, მათ შორის საკნების/პალატების სავენტილაციო ძრავების გამართული მუშაობისა და დაზიანების აღმოფხვრის უზრუნველყოფა; დაწესებულების სანტექნიკური გაყვანილობების, დაზიანებების აღმოფხვრის უზრუნველყოფა და ელექტრო შედუღებითი სამუშაოების წარმოება; დაწესებულების დაზიანებული საოფისე ინვენტარის შეკეთება; დაწესებულების საკანალიზაციო სისტემებზე კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში საავარიო მანქანის მოყვანა; დაწესებულების ადმინისტრაციული განყოფილების უფროსისთვის, მისი არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოადგილისთვის (სოციალურ დარგში) დაწესებულებაში სამუშაო და ყოფითი პირობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება; დაწესებულების ტერიტორიაზე დამონტაჟებული ექსპლუატაციაში არსებული ტექნიკის, მათ შორის, ძირითადი საშუალებების სწორი ექსპლუატაციის კონტროლი, მათ მდგომარეობისა და საერთო რაოდენობის აღრიცხვა; კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება დაწესებულებისა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მატერიალურ-ტექნიკური საჭიროებების უზრუნველყოფის მიზნით; წინადადებების წარდგენა ექსპლუატაციისთვის უვარგისი მატერიალური

თ. მ. ადმინისტრაციული განყოფილების დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან ფაქტობრივად ასრულებდა მხოლოდ საქმისმწარმოებლის ფუნქცია-მოვალეობებს²³. აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ მას არ შეეძლო, მის მიერ დაკავებული პოზიციის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობის შესრულება²⁴.

2020 წლის 1 ნოემბრიდან, პირადი განცხადების საფუძველზე, თ. მ. გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან²⁵. განცხადების დაწერისა და სამსახურიდან წასვლის საფუძველი გახდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან მისი პოზიციით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შეთავაზება, რაზეც მან განაცხადა უარი იმ მოტივით, რომ ამ საქმის შესრულება არ შეეძლო²⁶. სახალხო დამცველი ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ როგორც სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, დაწესებულებისთვის დანიშვნის დღიდანვე ცნობილი იყო, რომ თ. მ.-ს არ შეეძლო იმ საქმის შესრულება, რაც მის მიერ დაკავებული პოზიციის სამუშაო აღწერილობით იყო გათვალისწინებული²⁷.

ვინაიდან მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობა იყო შრომითი ხასიათის, რომლის ფარგლებშიც თ. მ.-ს გათავისუფლების შესახებ განცხადების დაწერა და აღნიშნული ურთიერთობის შეწყვეტა მოუწია, უფლებას, რომლის განხორციელებაშიც პირს ხელი ეშლებოდა შრომის უფლება წარმოადგენს.

წინამდებარე საქმის შეფასების მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია, ყურადღება გაამახვილდეს გამოხატვის თავისუფლების უფლებაზეც, რამდენადაც, თ. მ.-ის შვილის, ა. კ.-ს, მხრიდან გაუძღვრებული შეფასებები და პოლიტიკური საქმიანობა, საფუძველად დაედო მის მიმართ შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში დისკრიმინაციული მოპყრობის არსებობას.

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარებისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა²⁸. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, აზრისა და

ფასეულობების ჩამოწერის შესახებ; საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება

²³ 2020 წლის 4 ნოემბრის კორესპონდენცია №265455/01, პუნქტი 4

²⁴ იქვე

²⁵ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 19 ოქტომბრის №16364 ბრძანება; თ. მ.-ის 2020 წლის 13 ოქტომბრის №33/279479 განცხადება თანამდებობიდან წასვლის შესახებ

²⁶ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 08 ოქტომბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/moc.gov.ge/photos/a.381689191907118/3381452151930792/>

²⁷ 2020 წლის 04 ნოემბრის კორესპონდენცია №265455/01, პუნქტი 4

²⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *İ.A. v. Turkey*, პარ. 23

ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას და შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი თითოეული წევრის ჩართულობას²⁹.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება და რეგლამენტირებულია პირის უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია³⁰. მსგავსი უფლება აღიარებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით³¹ და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით³².

გამოხატვის თავისუფლებით დაცულია არა მხოლოდ ის „ინფორმაცია“ და „იდეები“, რომელთაც იზიარებს საზოგადოება ან არ არის შეურაცხმყოფელი, ან მისდამი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ ისეთებიც, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობის და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება³³.

განსახილველ შემთხვევაში, ა. კ.-ის მხრიდან სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართ გაკეთებული განცხადებები, რომლებიც მიზნად ისახავდა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებას, დისკუსიის გახსნასა და ანგარიშვალდებულების გაზრდას, ექცევა აზრისა და გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციით დაცულ სფეროში. აღნიშნული ქცევის არასასურველობა და უფლებაში ჩარევა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან გამოიხატა თ. მ.-ის მიმართ ირიბად სამსახურიდან წასვლის წინაპირობების შექმნაში.

2.2. დისკრიმინაციისგან დაცული ნიშანი

იმის განსაზღვრისას, მოხდა თუ არა პირის დისკრიმინაცია, უნდა შეფასდეს ნაკლებ სახარბიელო მოპყრობა განპირობებული იყო თუ არა **დაცული საფუძვლით**. დაცული

²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ.26

³⁰ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 1 და პუნქტი 2

³¹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 10

³² სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 19

³³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Handyside v. the United Kingdom, პარ. 49

საფუძველი ისეთი მახასიათებელია, რომელიც რელიგანტურად არ უნდა ჩაითვალოს განსხვავებული მოპყრობისთვის ან გარკვეული შეღავათებით სარგებლობისთვის³⁴.

როგორც აღინიშნა, დისკრიმინაციისგან დაცული საფუძველები განმტკიცებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით. აღნიშნული მუხლის თანახმად, აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

ამდენად, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელი წინაპირობაა, რომ განმცხადებელი იყოს სხვა პირებთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებული **კონკრეტული ნიშნის საფუძველზე**. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტულ ნიშანსა და განსხვავებულ მოპყრობას შორის იყოს მიზეზობრივი კავშირი³⁵.

დისკრიმინაციის დაცულ ნიშანთან მიმართებით, სახალხო დამცველი განმარტავს, რომ თ. მ.-სთვის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულება შესთავაზეს მას შემდეგ, რაც ა. კ.-მ სპეციალური პენიტენციური სამსახურის საქმიანობის მიმართ აქტიური კრიტიკა დაიწყო. სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა, საჯარო განცხადებებით, თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ა. კ.-ის ქცევასთან დაკავშირებით არაერთხელ გამოხატა. დაწესებულების მიერ ა. კ.-ის აქტიურობა პოლიტიკური მოტივით მიზანმიმართულ აქტიურობად ფასდებოდა³⁶. შესაბამისად, სწორედ ა. კ.-ის პოლიტიკურმა საქმიანობამ და აქედან გამომდინარე სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართ კრიტიკამ შექმნა თ. მ.-სთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისათვის წინაპირობა. ამდენად, განსხვავებული მოსაზრება წარმოადგენს დისკრიმინაციისგან დაცულ საფუძველს.

მართალია, თ. მ. თავად არ არის დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნის - განსხვავებული მოსაზრების მატარებელი და მის მიერ გაჟღერებული კრიტიკა არ გამხდარა შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი, თუმცა, სახალხო

³⁴ ქართული ბიზნესის სამართლის მიმოხილვა, ქეთი მესხიშვილი, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მცდელობა ქართული და ევროპული პერსპექტივით, 2017, 58

³⁵ Handbook on European non-discrimination law, (European Union Agency for Fundamental Rights, Council of Europe, 2010), 27

³⁶ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 25 სექტემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/moc.gov.ge/photos/a.658643024211732/3340979362644738/>; სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 28 სექტემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/moc.gov.ge/photos/a.658643024211732/3350061365069871/>; სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 01 ოქტომბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/moc.gov.ge/photos/a.381689191907118/3359742090768465/>

დამცველის შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა ასოციაციით დისკრიმინაციის შემთხვევა³⁷.

როგორც აღნიშნა, ასოციაციით დისკრიმინაცია წარმოადგენს პირდაპირი დისკრიმინაციის ერთ-ერთი სახეს, რა დროსაც, **დაცული ნიშანი, ანუ საფუძველი**, რის გამოც თანაბარ სიტუაციაში მყოფი პირებიდან ერთ-ერთს არათანაბრად (უსამართლოდ, არასახარბიელოდ) ეპყრობიან **უშუალოდ მსხვერპლს არ აქვს (არ ახასიათებს), არამედ იმ პირს, რომელთანაც მსხვერპლი ასოცირდება.**

წინამდებარე შემთხვევაში, ა. კ., ვისი მხრიდან გაჟღერებული კრიტიკაც არასასურველი იყო სპეციალური პენიტენციური სამსახურისთვის, არის თ. მ.-სთან ასოცირებულ პირი - შვილი, შესაბამისად, თ. მ.-ის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის შეფასებისას სახალხო დამცველი დაცულ ნიშნად განსხვავებულ მოსაზრებას განიხილავს.

2.3. განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-14 მუხლის [ძველი რედაქციით] მიზანია, არ დაუშვას არსებითად თანასწორის უთანასწოროდ მოპყრობა და პირიქით³⁸. ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს, მასზე თანაბარი წვდომის (ხელმისაწვდომობის) გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან³⁹.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ დადგინდეს დისკრიმინაცია, პირები არსებითად თანასწორები უნდა იყვნენ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში და ისინი ამა თუ იმ შინაარსით, კრიტერიუმით მსგავს კატეგორიაში, ანალოგიურ გარემოებებში უნდა ხვდებოდნენ, არსებითად თანასწორნი უნდა იყვნენ კონკრეტულ ვითარებასა თუ ურთიერთობებში⁴⁰. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის შემთხვევაში, განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ⁴¹. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ დადგენილი წინაპირობა, რომ პირმა უნდა აჩვენოს ანალოგიური პოზიციაში ყოფნა, არ გულისხმობს, რომ შესაძარებელი ჯგუფები იდენტურები უნდა იყვნენ⁴².

³⁷ საქართველოს კანონი, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 2, პუნქტი 6

³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, II-1

³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N 1/1/539, II, 2

⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493, II, 2

⁴¹ ECtHR, D.H. and Others v. the Czech Republic [GC], no. 57325/00, 13/11/2007, § 175

⁴² ECtHR, Clift v United Kingdom, no. 7205/07, 22/11/2010, § 66

განსახილველ შემთხვევაში, თ. მ. არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დასაქმებულ ყველა იმ პირთან მიმართებით, რომელთა შვილების მიერ გაჟღერებული კრიტიკა და პოლიტიკური საქმიანობა არ გამხდარა მათი სამსახურიდან წასვლის წინაპირობა. ამდენად, დღის წესრიგში დგება შეფასდეს, თუ რამდენად გამართლებულია დიფერენცირება.

2.4. ლეგიტიმური მიზანი და თანაბარი მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, აკრძალულია კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ და უთანასწოროთა თანასწორად მოპყრობა გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე⁴³.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად⁴⁴, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობის თვალსაზრისით, პირთა შორის ყოველგვარი განსხვავება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

არათანაბარი მოპყრობის გამართლებელ გარემოებებთან მიმართებით, საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოსეული ასპექტები. საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომის თანახმად, ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა, თავისთავად, დისკრიმინაციას არ ნიშნავს. რიგ შემთხვევებში, დიფერენცირებული მოპყრობა შეიძლება საჭირო და გარდაუვალიც იყოს. დიფერენციაცია დისკრიმინაციული ხასიათისაა მაშინ, თუ იგი დაუსაბუთებელია. დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს, დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია და მოკლებულია გონივრულ საფუძველს⁴⁵. დისკრიმინაციას წარმოადგენს არა მარტო ისეთი შემთხვევა, როდესაც მოქმედება პირდაპირ

⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, ნაწ. II, პარ. 1

⁴⁴ საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 2, პუნქტი 3

⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებულ ასპექტებზე დაყრდნობით აქვს განვითარებული მსჯელობა ყველა იმ საქმეში, სადაც ქმედების დისკრიმინაციული ხასიათი იყო შესაფასებელი

ისახავდა მიზნად პირის ან პირთა ჯგუფის დისკრიმინაციას, არამედ - ისეთიც, რომელსაც შედეგად მოჰყვა დე ფაქტო დისკრიმინაცია⁴⁶.

დისკრიმინაციის გამამართლებელ გარემოებებზე საუბრობს თავად „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონიც. რომლის საფუძველზეც, დისკრიმინაციად არ მიიჩნევა ნებისმიერი განსხვავება, დაუმჯობესება და უპირატესობა განსაზღვრულ სამუშაოსთან, საქმიანობასთან ან სფეროსთან დაკავშირებით, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება⁴⁷. განსხვავებული მოპყრობა, პირობების შექმნა ან/და მდგომარეობა დასაშვებია, თუ არსებობს სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი და სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში⁴⁸.

ამდენად, არასახარბიელო მოპყრობის გამართლებად და შესაბამისად, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება, თუ ამგვარი მოპყრობა ეფუძნება არსებითად ფაქტობრივი გარემოებების ობიექტურ შეფასებას; ითვალისწინებს საჯარო ინტერესს; ამყარებს სამართლიან ბალანსს საზოგადოების საერთო ინტერესსა და ინდივიდის უფლებებს შორის; ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს; არსებობს გონივრული, პროპორციული ურთიერთმიმართება განსხვავებულ მოპყრობასა და დასახულ ლეგიტიმურ მიზანს შორის.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან თ. მ.-ის სამსახურიდან წასვლის მიზეზად დასახელდა ის გარემოება, რომ მან უარი განაცხადა იმ საქმიანობის განხორციელებაზე, რაც მას თანამდებობრივად ევალებოდა. აღნიშნულს წინ უსწრებდა ის გარემოება, რომ კოვიდ პანდემიის პრევენციის მიზნებისთვის გატარებული ღონისძიებების ფარგლებში თ. მ. 2020 წლის მარტის ბოლოდან სამსახურში აღარ გამოცხადებულა. ხოლო, ვინაიდან ოქტომბრის თვეში N18 პენიტენციურ დაწესებულებაში დადგა ადმინისტრაციული განყოფილების დამხმარე მოსამსახურის საჭიროება, თ. მ.-ს შეეთავაზა მისი პოზიციით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება, რაზეც მან უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ამ საქმის შესრულება არ შეეძლო⁴⁹. ადმინისტრაციული განყოფილების დამხმარე მოსამსახურის საჭიროებასთან მიმართებით კი დაწესებულებამ განმარტა, რომ N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებას სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება ადმინისტრაციული განყოფილების 2 დამხმარე მოსამსახურე (სანტექნიკოსი და ელექტრიკოსი). აღნიშნულ პოზიციაზე თ. მ.-სთან ერთად დანიშნული იყო მეორე დამხმარე მოსამსახურე, რომელსაც სანტექნიკოსთან ერთად შეთავსებული ჰქონდა ელექტრიკოსის ფუნქცია-მოვალეობები. 2020 წლის 2 ივლისს ზემოხსენებული დამხმარე მოსამსახურე

⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II, 25

⁴⁷ საქართველოს კანონი, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 9, პუნქტი 8

⁴⁸ იქვე, მუხლი 9, პუნქტი 9

⁴⁹ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 08 ოქტომბრის განცხადება, ხელმისაწვდომია:

<https://www.facebook.com/moc.gov.ge/photos/a.381689191907118/3381452151930792/>

პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა სამსახურიდან. სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა დამხმარე მოსამსახურის ვაკანტურ სამტატო ერთეულზე ისეთი თანამშრომლის დანიშვნა, რომელიც შეძლებდა დამხმარე მოსამსახურის (ელექტრიკოსის) ფუნქციამოვალეობების შესრულებას. რამდენადაც თ. მ. დასაქმებული იყო დამხმარე მოსამსახურედ და მის ფუნქციებში შედიოდა ელექტროსაკითხებზე მუშაობა, სწორედ მას შესთავაზეს აღნიშნულის განხორციელება⁵⁰.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან დასახელებულ არგუმენტებთან მიმართებით, სახალხო დამცველი ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ გარემოებებზე - სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა თავადვე დაადასტურა ის ფაქტი, რომ თ. მ. ფორმალურად დასაქმებული იყო სხვა თანამდებობაზე, ხოლო ფაქტობრივად ასრულებდა სხვა საქმიანობას. ამასთან, დაწესებულებისთვის თანამდებობაზე დანიშვნის დღიდანვე ცნობილი იყო, რომ მას არ შეეძლო, მის მიერ დაკავებული პოზიციის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულება. აღნიშნულის მიუხედავად, სპეციალური პენიტენციური სამსახური აგრძელებდა თ. მ.-სთან თანამშრომლობას. დაწესებულება თ. მ.-სთვის დამხმარე მოსამსახურის უფლება-მოვალეობების შესრულების შეთავაზებას უკავშირებს მეორე დამხმარე მოსამსახურის მხრიდან, რომელსაც სანტექნიკოსთან ერთად შეთავსებული ჰქონდა ელექტრიკოსის ფუნქცია-მოვალეობები, პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან წასვლის ფაქტს, რამაც წარმოშვა დამხმარე მოსამსახურის ვაკანტურ სამტატო ერთეულზე ისეთი თანამშრომლის დანიშვნის საჭიროება, რომელიც შეძლებდა დამხმარე მოსამსახურის (ელექტრიკოსის) ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას.

სახალხო დამცველი ყურადღებას გაამახვილებს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ორ გარემოებაზე: (1) იმ პირობებში, როდესაც დღის წესრიგში დადგა ისეთი თანამშრომლის დანიშვნის საჭიროება, რომელიც შეძლებდა ელექტრიკოსის ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას, აღნიშნული საქმიანობის განხორციელება შეეთავაზა თ. მ.-ს, პირს, რომლის შესახებაც დაწესებულებას თავიდანვე ჰქონდა ინფორმაცია, რომ არ ფლობდა ელექტროობასთან დაკავშირებულ საკითხებს და მისთვის შეუძლებელი იყო აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობების შესრულება. ამასთან, დაწესებულებამ თავადვე განმარტა, რომ სწორედ, ელექტრიკოსის ფუნქცია-მოვალეობების ცოდნის ნაკლებობა და შესრულების შეუძლებლობა დაედო საფუძვლად ფაქტობრივად მისთვის ადმინისტრაციული განყოფილების საქმისმწარმოებლის ფუნქცია-მოვალეობების შესრულების დავალდებულებას. (2) პირი, რომელიც დანიშნული იყო დამხმარე მოსამსახურის მეორე სამტატო ერთეულზე და რომელსაც სანტექნიკოსთან ერთად შეთავსებული ჰქონდა ელექტრიკოსის ფუნქცია-მოვალეობები, პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლდა 2020 წლის 2 ივლისს, ხოლო თ. მ.-ის აღნიშნული საქმიანობის

⁵⁰ 2020 წლის 04 ნოემბრის კორესპონდენცია №265455/01, პუნქტი 8

განხორციელება შეეთავაზე 3 თვის შემდეგ, 2020 წლის ოქტომბრის თვეში, მას შემდეგ, რაც მისი შვილი, ა. კ., ჩაერთო პოლიტიკურ საქმიანობაში და გააქტიურდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის კრიტიკის მიმართულებით. ა. კ. განსაკუთრებით კრიტიკული სწორედ 2020 წლის სექტემბრის თვიდან გახდა, რა პერიოდიდანაც სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა აქტიურად დაიწყო საჯარო განცხადებების გავრცელება ა. კ.-ის ქმედებებთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის შეფასებით, ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ თ. მ.-სთვის მის მიერ დაკავებული თანამდებობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულების შეთავაზება დროში ემთხვევა ა. კ.-ის პოლიტიკური საქმიანობის დაწყებასა და კრიტიკული განცხადებების გავრცელებას, ამასთან სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან წარმოდგენილი ინფორმაცია კიდევ უფრო ამყარებს აღნიშნულ ეჭვს და, რეალურად, ვერ უზრუნველყოფს დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდის გაქარწყლებას.

3. დასკვნა

განსახილველ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების შეფასების შედეგად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ თ. მ.-სთან შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტას სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან, განსხვავებული მოსაზრების გამო, ასოციაციით დისკრიმინაცია დაედო საფუძვლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსა და N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებას მიმართავს ზოგადი წინადადებით:

- მომავალში თავი შეიკავონ შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში დისკრიმინაციული მოპყრობისგან და სხვა თანამშრომლებს არ შეუქმნან დისკრიმინაციული წინაპირობები, შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის მიზნით; საქმიანობის განხორციელებისას იხელმძღვანელოს თანასწორობის პრინციპების უპირატესი დაცვით.

გთხოვთ, წინამდებარე ზოგადი წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

